

ს.ს. „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“



პროექტორის (CPV 30191200) შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3. ტექნიკური დავალება
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. აფიდავიტი
6. დამატებითი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემის საშუალებით შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად. ინსტრუქტაჟი შესაძლებელია ასევე იხილოთ <http://procurement.gov.ge>

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1. იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მოთხოვნილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით შეუძლებელია პრეტენდენტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის სრულყოფილად მიღება);

ასეთ შემთხვევაში „შემსყიდველის“ მოთხოვნაში გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი დოკუმენტი გაცემული/მომზადებული უნდა იყოს “ტენდერი გამოცხადებულია” სტატუსის მინიჭების შემდეგ.

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

2.3. აღნიშნული დოკუმენტები გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში და შესაბამისად.

2.4. ფიზიკური პირისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირისათვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მოთხოვნის მიზანია პირის იდენტიფიკაცია, ხოლო ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მესამე პირებთან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დადგენა.

2.5. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ხდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. ტექნიკური დავალება

პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით:

3.1. წინამდებარე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პროექტორი (CPV 30191200).

3.2. შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს დღგ-ს გათვალისწინებით არაუმეტეს 1 885 ლარისა. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება სატენდერო წინადადებაშიც მითითებული უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით. ელექტრონულ ვაჭრობაში დღგ-ს არგადამხდელი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, მის მიერ დღგ-ს გარეშე ფასის წარმოდგენისას, გამარჯვებულის გამოვლენისათვის პრეტენდენტთა ფასების შედარება მოხდება დღგ-ს გამოკლებით.

3.3. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა და მახასიათებლები მოცემულია №1 ცხრილში:

ცხრილი №1

პარამეტრი	მინიმალური მოთხოვნები
სისტემა	DLP
ფორმატი	16:9
სინათლის ნაკადი	3000lm ან მეტი
კონტრასტი	არანაკლებ 10000:1
კონექტორები	HDMI, VGA, Video, Audio in/out, USB, RJ-45
ნათურის სიცოცხლის ხანგრძლივობა	არანაკლებ 4 000 სთ
ნატივური გარჩევუნარიანობა	1280 x 800 ან მეტი

შენიშვნა: საგარანტიო მომსახურების ვადა არანაკლებ 3 წელი.

3.4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 120 კალენდარული დღით ეტაპიდან „წინადადების მიღება დაწყებული“.

3.5. საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, შესაბამისი საგარანტიო ვადით და შეესაბამებოდეს №1 ცხრილში მოცემულ პირობებს.

საგარანტიო ვადის განმავლობაში დაზიანების (გარდა მექანიკური დაზიანებისა) ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უფასოდ უნდა შეაკეთოს შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო თუ შეუძლებელია მისი შეკეთება ან მისი შეკეთებით მნიშვნელოვნად მცირდება მისი ღირებულება, მაშინ შეცვალოს ის იგივე ტიპის, ხარისხისა და ღირებულების საქონლით.

3.6. ტენდერის დასრულების შემდეგ, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო სატენდერო ღირებულება აისახება ხელშეკრულებაში.

3.7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.8. ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საანგარიშსწორებო (საგადასახადო) დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში. წინასწარი გადახდის წესი არ გამოიყენება.

3.9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს შემდეგი ეტაპების დადგომამდე: „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“.

3.10. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ პირობებს/მოთხოვნებს. ამასთან, პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) მისი რეპუტაციისა და საქმიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.11. პრეტენდენტის რეკვიზიტები წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სახით:

- პროტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი
- პროტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი
- საიდენტიფიკაციო კოდი
- პროტენდენტის ტელეფონის ნომერი
- ელექტრონული მისამართი
- მომსახურე ბანკის დასახელება და ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

4. ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

{რიცხვი} {თვე} {წელი} წელი

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ----- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ (-----) წარმოდგენილი მისი {ხელმძღვანელი თანამდებობის დასახელება, სახელი და გვარი} სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**ტენდერის ნომერი**) ჩატარების შედეგად, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

- 1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის ნასყიდობა.
- 1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს „შემსყიდველის“ პროექტორი (CPV 30191200), წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართში მოცემული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს {თანხა სიტყვიერად} დღგ-ს ჩათვლით (----- ლარი დღგ-ს გარეშე).
- 2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების განხორციელებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „მიმწოდებლის“ კუთვნილი გადასახადების ჩათვლით.
- 2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) საკუთარი სახსრებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა

- 3.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საანგარიშსწორებო (საგადასახადო) დოკუმენტაციისა წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 3.2. წინასწარ გადახდის პირობები არ განიხილება.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება „მიმწოდებელსა“ და „შემსყიდველს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

- 5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი. მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- ბ) მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის პროცესს.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- ა) შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულება ტექნიკური დავალებისა და სატენდერო წინადადების შესაბამისად;
- გ) საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას გამოვლენილი ნაკლი.

7. შესყიდვის ობიექტის გარანტია

7.1. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა განსაზღვრულია „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადებაში.

7.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, დაზიანების (გარდა მექანიკურისა) შემთხვევაში, უფასოდ შეაკეთოს შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო თუ შეუძლებელია მისი შეკეთება ან მისი შეკეთებით მნიშვნელოვნად მცირდება მისი ღირებულება, მაშინ შეცვალოს ის იგივე ტიპის, ხარისხისა და ღირებულების საქონლით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს კოორდინატორი {შემსყიდველისგან უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი ან/და თანამდებობა}.

8.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

8.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან -----, ხოლო ფინანსური ვალდებულებების შესრულების ნაწილში მათ შესრულებამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი გაფრთხილებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ -----
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2 ტელ. 240-14-20 სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	
{სახელი და გვარი}	{სახელი და გვარი}
გენერალური დირექტორი	{თანამდებობა}

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და {მიმწოდებელს}
{წელი} {რიცხვი} {თვე} გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №

5. აფიდავიტი

5.1. მიმწოდებელი ვადაცხადებს, რომ დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად. აფიდავიტის ფორმა მოცემულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისთვის.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადაცხადებს, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადაცხადებს, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუდავდება ან/და არ გაუმუდავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადაცხადებს წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადაცხადებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლიან-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

6. დამატებითი ინფორმაცია

ტენდერის პროცედურებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას გასცემს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი მეგი ღვინევაძე. ტელ: **599 245 159**

ელ.ფოსტა: mghvinepadze@esco.ge

დაკავშირება უნდა მოხდეს ტელეფონზე ყოველდღე 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, ხოლო ელექტრონული ფოსტით-ყოველ სამუშაო დღეს 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.